შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ თვითრეგულირების ორგანოს -„კომისიის“ გადაწყვეტილება

ქ. თბილისი **21 მარტი 2019**

კომისიის შემადგენლობა:

მთავარი იურისტი - თამთა მურადაშვილი
მთავარი იურისტი- დიმიტრი საძაგლიშვილი
იურისტი- დაჩი ბერუჩაშვილი
იურისტი - ანდრო ორჯონიკიძე

მოწვეული პირი:

დილა მშვიდობისა საქართველოს პროდიუსერი - ლიკა კინწურაშვილი

აღწერილობითი ნაწილი

2019 წლის 21 მარტს „რუსთავი2-ის“ გადაცემა „დილა მშვიდობისა საქართველოს“ ეთერში, გავიდა სიუჟეტი იაპონურ კულტურაზე სადაც სხვა თემებთან ერთად, საუბარი იყო სუშის ჭამის ერთ-ერთ იაპონურ ტრადიციაზე, *ნიატაიმორზე,* და ამ კულტურის დემონსტრირების მიზნით გადაცემაში წარმოდგენილი იყო სუშის მოდელი ქალბატონი.

კომისია აღნიშნავს, რომ თვითრეგულირების მექანიზმის მიზანია მაუწყებლის საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა და დარღვევებზე დროული რეაგირება. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ არ შემოსულა დაინტერესებული პირის მხრიდან საჩივარი, კომისიას მიაჩნია, რომ მაუწყებელს პროაქტიულად შეუძლია დარღვევებზე რეაგირება. ამ მიზნით, კომისია განიხილავს „დილა მშვიდობისა საქართველოს“ მხრიდან „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ სავარაუდო დარღვევის ფაქტს.

სამოტივაციო ნაწილი:

2019 წლის 21 მარტის გადაცემა „დილა მშვიდობისა საქართველოს“ ერთ-ერთი ნაწილი მიეძღვნა იაპონურ კულტურას და საქართველოში სუშის ფედერაციის დაარსებას. გადაცემაში იყო საუბარი [შესაბამისი დემონსტრირებით], იაპონურ სამზარეულოზე, სუშის მომზადების წესზე, საბრძოლო ხელოვნებაზე, იაპონურ ჩაცმულობაზე, მაკიაჟზე და ა.შ. გადაცემაში სტუმრად იყვნენ მოწვეულები საქართველოში სუშის ფედერაციის პრეზიდენტი, ბატონი გიორგი ხვისტანი და საქართველოს კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი, ბატონი კახა ბასილია. სტუმრები საუბრობდნენ იაპონურ კულტურაზე, საბრძოლო ხელოვნებაზე, იაპონურ სამზარეულოზე.

კომისიის ყურადღების ქვეშ მოექცა გადაცემის ის ნაწილი, სადაც დემონსტრირებული იყო სუშის ჭამის ერთ-ერთი ძველი იაპონური ტრადიცია, *ნიატაიმორი* (Nyotaimori)[1]. აღნიშნული ტრადიცია გულისხმობს სუშის ჭამას ქალის შიშველი სხეულიდან.

კომისია ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე:

- სტუდიაში იყო [იწვა] მოდელი ქალბატონი, რომელიც წარმოდგენილი იყო შიშველი სხეულით, რომელსაც სხეულის ზოგიერთი ნაწილი დაფარული ჰქონდა მცენარეებით.
- „რუსთავი2-ის" ერთ-ერთმა ჟურნალისტმა [დ.ფრანგიშვილი] და გადაცემის სტუმარმა დაალაგეს მოდელის სხეულზე სუში და შემდეგ მოახდინეს სუშის ჭამის დემონსტრირება მოდელის სხეულიდან.
- გადაცემის მსვლელობისას „რუსთავი2-ის" ჟურნალისტმა [ა. გიუნტერი] განმარტა, რომ აღნიშნული იაპონური ტრადიციის მიხედვით, სუშის მოდელი ქალი უნდა იყოს ქალიშვილი, რამაც გამოიწვია ერთგვარი აღქმა, თითქოს სტუდიაში წარმოდგენილი მოდელიც შესაძლოა ქალიშვილი ყოფილიყო.

კომისიას მიაჩნია, რომ გადაცემის ეს ნაწილი [იაპონური სამზარეულოს კულტურაზე], როგორც ზემოთ აღნიშნული ცალკეული ფრაზებითა და დემონსტრირებული მაგალითებით, ისე მთლიან კონტექსტში, ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ქალის სხეული წარმოადგენს საჭმლის ლანგარს, რაც კომისიის აზრით, არის დამამცირებელი, სექსისტური და ლახავს ადამიანის უფლებებს. გადაცემის ამ ნაწილმა მოახდინა სექსიზმის გამოვლინება, ქალის ობიექტივიზაცია, მის ნივთად წარმოჩენა, გადაცემა იყო შეურაცხმყოფელი და აკნინებდა ქალს, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ქალთა მიმართ ისედაც არსებული სტერეოტიპული განწყობის გაძლიერებას საზოგადოებაში.

კომისიის მიზანია, რომ მიუთითოს მის თანამშრომლებს ეთიკურ ვალდებულებებზე, მინიმუმამდე დაიყვანოს ისეთი ლექსიკის თუ ვიზუალური მასალის გამოყენება, რომელიც ნეგატიურ შედეგებს ახდენს გარკვეულ ჯგუფზე [მოცემულ შემთხვევაში, ქალებზე]. კომისია აღნიშნავს, რომ სტუდიური/საეთერო მასალა და ჟურნალისტების მხრიდან გაჟღერებული ზოგიერთი ფრაზა აღიქმება როგორც სექსისტური და გადაცემის წამყვანებს ეკისრებათ ვალდებულება არა თუ თავად შეიკავონ თავი სექსისტური და პირადი ცხოვრების შემლახველი [მაგ, მოდელის, როგორც ქალიშვილის აღქმა] განცხადებების გაკეთებისაგან, არამედ მიიღონ მათ ხელთ არსებული ყველა ზომა, რომ აღმოფხვრან რომელიმე სოციალური ჯგუფის დამაკნინებელი კომენტარები, თუნდაც ამგვარი კომენტარები გაკეთებული იყოს რესპონდენტისგან/სტუმრისგან.

კომისია აქვე აღნიშნავს, რომ მართალია *ნიატაიმორი* ნამდვილად არის იაპონური კულტურის ნაწილი, თუმცა ეს არ გამორიცხავს მაუწყებლის პასუხისმგებლობას აიცილოს ქალთა მიმართ დამამცირებელი მოპყრობა. *ნიატაიმორი* არის *გეიშას* ერთგვარი სუბკულტურა და არის ძველი, არქაული ტრადიცია. კომისიის მიერ მოძიებული წყაროებით, რამდენიმე ქვეყანაში კანონით არის აკრძალული *ნიატაიმორი* მისი დამამცირებელი, ადამიანის უფლებების შემლახავი ხასიათის გამო.

---

[1] https://en.wikipedia.org/wiki/Nyotaimori

კომისია მიუთითებს „რუსთავი2-ის“ მიერ ქალთა მიმართ დამამცირებელი და დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ თვითრეგულირების ფარგლებში განხილულ საქმეებზე, პრაქტიკაზე [2016 წლის 24 ივნისის, 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება სწორედ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის თემაზე]. ასევე, 2016 წლის ნოემბერში სახალხო დამცველის რეაგირებაზე ტელეკომპანია „ტაბულას“ მიმართ, რომელიც სწორედ *ნიატაიმორს* ეხებოდა, სადაც სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ „ქალის შეფასება მისი გარეგნული, ბიოლოგიური მახასიათებლებით, მისი ობიექტივიზაცია და „ნივთად წარმოჩენა“ წარმოადგენს სექსიზმს, რომელსაც დამანგრეველი შედეგების მოტანა შეუძლია ქალთა უფლებრივი მდგომარეობისთვის საქართველოში. სექსისტური რეკლამით ქალს მინიჭებული აქვს დეკორატიული როლი და ამასთან, ის არის სექსუალიზირებული, შიშველი სხეულის წარმოჩენით“.[2]

კომისიას მიაჩნია, რომ დარღვეულია ,,მაუწყებელთა შესახებ კანონის'' 56-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ,,იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისკენ, დისკრიმინაციისკენ ან ამ თვისებათა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას''

ასევე ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'' 31-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ,,მრავალფეროვნების, თანასწორობისა და შემწყნარებლობის'' პრინციპებს, ასევე 33-ე მუხლი ,,სახელმწიფო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ მრავალფეროვნების, თანასწორობის და ტოლერანტობის პრინციპების დაცვის შესახებ''. კონკრეტულად კი: ,,მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური, ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათშორის გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება''.

კომისია მიუთითებს დისკრიმინაციის განმარტებაზე. კერძოდ, დისკრიმინაცია განიმარტება, „როგორც ქმედება, რომელიც უფლებებს ართმევს ან უზღუდავს გარკვეული ნიშნით გამოყოფილ ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას. ის მოიცავს პიროვნებისადმი სხვა ადამიანებისაგან განსხვავებულად ცუდ მოპყრობას მხოლოდ იმიტომ, რომ ის გარკვეულ ჯგუფს მიეკუთვნება. დისკრიმინაცია შესაძლოა განხორციელდეს გენდერის, რასის, ეროვნების, რელიგიის, სექსუალობის და სხვა ნიშნებით.“[3] დისკრიმინაცია, როგორც ქმედება, თავის მხრივ, შეიძლება გულისხმობდეს როგორც მოქმედებას, ისე უმოქმედობას.

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია კი განმარტება შემდეგნაირად: „გენდერის ნიშნით დისკრიმინაცია გულისხმობს პიროვნების ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქცევას მხოლოდ იმიტომ, რომ ის ერთი გენდერის წარმომადგენელია და არა - მეორის. ის ძირითადად მომდინარეობს იმ სტერეოტიპებიდან, რომელთა მიხედვითაც ერთი სქესის

[2] https://sapari.ge/archives/1114

[3] http://dictionary.css.ge/content/discrimination-gender-based

ადამიანი მეორე სქესის ადამიანზე უფრო მაღლა დგას. გენდერის ნიშნით დისკრიმინაცია შესაძლოა შეგვხვდეს როგორც პირად ურთიერთობებში, ისევე საჯარო სფეროში"[4]. პიროვნების ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქცევა შესაძლოა გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ასევე უმოქმედობაში.

კომისია აღნიშნავს, რომ აზრისა და გამოხატვის უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით. მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს: ა) აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას; ბ) პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას".

დადგენილია, რომ გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს არა მხოლოდ კრიტიკული შეფასებების, მსჯელობებს აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალებას, არამედ გამოხატვის ხერხებს, ფორმებსაც, მათ შორის შემოქმედებით/კრეატიულ ხერხებსაც. შესაბამისად აზრი, შეფასება, მსჯელობა შესაძლოა გამოხატული იყოს ცინიზმით, სარკაზმით, იუმორით, პაროდიით, მხატვრული თუ სხვა სახის ხერხებითა და ფორმით, რაც პირის გამოხატვის თავისუფლების ნებასა და არჩევანზეა დამოკიდებული.

კომისია არ უგულვებელყოფს გადაცემის სარედაქციო გუნდის გამოხატვის თავისუფლებას შექმნან გადაცემა საკუთარი სარედაქციო დამოუკიდებლობის ფარგლებში. თუმცა, ამავე დროს უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რომ არ მოხდეს სხვათა უფლებების დარღვევა.

„ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მე-5 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, რათა შეცვალონ მამაკაცისა და ქალის ყოფაქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრურწმენებისა და ჩვეულებების, აგრეთვე დანარჩენი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც ემყარება ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის იდეას ან მამაკაცის და ქალის როლის სტერეოტიპულ გააზრებას.

გენდერული თანასწორობა და ამ ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის სარედაქციო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს. შესაბამისად, კომისია თვლის, რომ მაუწყებლის ჟურნალისტებმა არ უნდა მიმართონ ისეთ ხერხებს, რომლითაც საეთერო მასალა შეიძლება აღქმულ იქნეს დისკრიმინაციულად.

კომისიამ მოისმინა გადაცემის პროდიუსერის, „დილა მშვიდობისა საქართველოს" პროდიუსერის პოზიცია. პროდიუსერის განმარტებით, გადაცემის და სარედაქციო გუნდის მიზანი არ იყო ქალების შეურაცხყოფა, არამედ იაპონური კულტურის შესახებ ინფორმაციის გადმოცემა ესთეტიურად და მაყურებლისათვის საინტერესო ვიზუალური საეთერო მასალის შეთავაზება. მიუხედავად სარედაქციო გუნდის მიზნისა, მაუწყებლის

[4] http://dictionary.css.ge/content/discrimination-gender-based; Dunneier P., Giddens A. (2009) Introduction to sociology , 7th ed. New York: W. W. Norton & Company Inc, p. 334.

თანამშრომლები აცნობიერებენ საკუთარ შეცდომას და მზად არიან მოახდინონ რეაგირება კომისიის მიერ დადგენილ დარღვევებზე.

კომისიამ იხელმძღვანელა, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, მაუწყებელთა ქცევის კოდექსით და სხვა საკანონმდებლო აქტებით, და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გარემოებების გაანალიზების და საქმეში არსებული მასალების შესწავლის შედეგად გადაწყვიტა:

სარეზოლუციო ნაწილი

1. კომისია თვლის რომ დაირღვა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“.
2. უზრუნველყოფილ იქნეს 2019 წლის 21 მარტის გადაცემის „რუსთავი2-ის“ ინტერნეტ წყაროებიდან ამოღება ქალთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის გაღვივების თავიდან აცილების მიზნით.
3. უზრუნველყოს გადაცემა „დილა მშვიდობისა საქართველოს“ სარედაქციო გუნდმა მითითებულ დარღვევებზე შესაბამისი საჯარო რეაგირება.
4. მიუხედავად იმისა, რომ კომისიის მხრიდან რამდენჯერმე დადგინდა დარღვევა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის შესახებ, კომისია მიიჩნევს, რომ აღნიშნულ თემაზე უფრო ეფექტური რეაგირებისა და მომავლში დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა „რუსთავი2-ის“ მხრიდან დამატებითი ღონისძიებების გატარება. ამისათვის, „რუსთავი2-ის“ მენეჯმენტმა ხელი უნდა შეუწყოს ჟურნალისტების გადამზადებას დისკრიმინაციის თემაზე და უახლოეს მომავალში უზრუნველყოს შესაბამისი ტრეინინგების ჩატარება.
5. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს „დილა მშვიდობისა საქართველოს“ სარედაქციო გუნდს.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 07 (შვიდი) დღის ვადაში, თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში (საბჭო). საჩივარი წარდგენილ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: თბილისი, ზ. ანჯაფარიძის 5ა (ყოფილი სანდრო ეულის ქ. №5ა.)

კომისიის წევრები:

თამთა მურადაშვილი

დიმიტრი სამაგლიშვილი

დაჩი ბერუჩაშვილი

ანდრო ორჯონიკიძე